სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიის და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის N250/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 ნოემბრის N79/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი "8" დეკემბერი, 2025 წ.

13:30 საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია №210

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი:

1. **ზაზა სხირტლაძე** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე).
2. **ირინე კოშორიძე** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე).
3. **ნინო გომელაური** - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.
4. **ირინე აბესაძე** - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო კომისიის მდივნის არჩევა.
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიის და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ კვლავ შეახსენა სხდომის წევრებს, რომ 2025 წლის 20 ოქტომბრის N250/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 ნოემბრის N: 79/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის მდივნად დანიშნული მარიანა ოკლეი იმყოფება ანაზღაურებად შვებულებაში რვა დღით (მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N 1945/02–02 (2025 წლის 1 დეკემბერი). ამის გამო აუცილებელია მის ნაცვლად აირჩეს საკონკურსო კომისიის სხდომის მდივანი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს მეორე სხდომის მდივნად კვლავ ნინო გომელაურის კანდიდატურა შესთავაზა. ღია კენჭისყრის შედეგად საკონკურსო კომისიის მეორე სხდომის მდივნად კვლავ არჩეულ იქნა ნინო გომელაური.

2. კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ზაზა სხირტლაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიის და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ირინე მირიჯანაშვილმა.

ირინე მირიჯანაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2).

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში, როგორც ასოცირებული პროფესორი ჩართული იყო თსუ ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის ბაკალავრიატისა და სამაგისტრო სასწავლო კურსების განხორციელებაში, ასევე აქტიურად იყო ჩართული ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესებში; იგი კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და ახალი შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ. ირინე მირიჯანაშვილი როგორც სამაგისტრო პროგრამის „კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა"

აქტურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ამ ხნის მანძილზე მან თავი გამოავლინა, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებამ და დაიმსახურა სტუდენტებისა და კოლეგების მხრიდან პატივისცემა. კონკურსანტის პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, აგრეთვე საერთაშორისო და ადგილობრივ საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; კონკურსანტის მიერ ამ მხრივ წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ იგი ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

წარმოდგენილ მოტივაციაში კონკურსანტს კარგად აქვს ცამოყალიბებული საკონკურსო პროფილი. იგი რეალისტურად მსჯელობს და ნათლად აჩვენებს, რა წვლილის შეტანა შეუძლია თავად მას დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“ და ოქმი №3).

ირინე მირიჯანაშვილმა გასაუბრებისას საუნივერსიტეტო ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვრცლად იმსჯელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებაზე როგორც კვლევითი პრიორიტეტების, ისე სწავლების ორგანიზების მხრივ არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ. კონკურსანტმა ასევე გაამახვილა ყურადღება ძეგლების ადგილზე გაცნობის და, შესაბამისად, გასვლითი პრაქტიკის მნიშვნელობაზე.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. ირინე მირიჯანაშვილი არის გამოცდილი კადრი, ჯანსაღი საზოგადოებრივი და აკადემიური ღირებულებებით, რომლის შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითრებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი კანდიდატ ირინე მირიჯანაშვილის კანდიდატურას. საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან.

დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიის და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **ირინე მირიჯანაშვილი.**

2. გადაეცეს კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:

მოადგილე:

წევრები:

კომისიის მდივანი:

8 დეკემბერი, 2025 წ.